გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გზამკვლევი

www.mepa.gov.ge

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“ გეგმავს და ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლისმეურნეობისსამინისტროსმიერინიციირებულპროგრამებს/პროექტებს და თავისი საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნისათვის პრიორიტეტული დარგის განვითარებაში.

პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი:

- პროექტი „შეღავათიანი აგროკრედიტი”
- „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი”
- პროგრამა „დანერგე მომავალი“
- პროგრამა „აგროდაზღვევა“
- ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა (ქართული ჩაი)
- „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“
- სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“
- ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი
- სოფლის განვითარების პროგრამა
- სასოფლოსამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობის პროგრამები

პროექტი „შეღავათიანი აგროკრედიტი“

პროექტის მიზანია, აგრომეწარმეებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდის გზით, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამმუშავებელი წარმოების, აგროპროდუქციის შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამმუშავებელი და შენახვარეალიზაციის მიმართულებით დასაქმებული ფერმერები და საწარმოები საფინანსო ინსტიტუტებისგან იღებენ შეღავათიან აგროკრედიტს და აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის. კრედიტებს/ლიზინგებს გასცემენ პროექტში მონაწილე კომერციული ბანკები/საფინანსო ინსტიტუტები, ხოლო სააგენტო ახორციელებს სესხის/ლიზინგის საპროცენტო განაკვეთის/ლიზინგის საზღაურის თანადაფინანსებას. უნდა აღინიშნოს, რომ აგროსექტორით საბანკო/ სალიზინგო სექტორის დაინტერესება პროექტის ერთერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, რაც სოფლის მეურნეობის განვითარებას უწყობს ხელს.

სესხის მოცულობისა და მიზნობრიობების მიხედვით, საპროცენტო განაკვეთები შემდეგია:

აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში

- 20,000 ლარიდან 150,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 15%ის
- 150,001 ლარიდან 600,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 14%ის
- 600,001 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 13%ის

აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში

- 20,000 ლარიდან 150,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%
- 150,001 ლარიდან 600,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%
- 600,001 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5%

ქვეკომპონენტი სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მექანიზაციისთვის

შეღავათიანი აგროკრედიტის" პროექტის "ძირითადი საშუალებების" კომპონენტის ქვეკომპონენტის ფარგლებში სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მექანიზაციისთვის, შეღავათიანი აგროკრედიტი გაიცემა მხოლოდ სასოფლოსამეურნეო დანიშულების ტექნიკის ან/და იმპლემენტის შესასყიდად.

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საკრედიტო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

- 7,000 ლარიდან 150,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 15%ის
- 150,001 ლარიდან 600,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 14%ის
- 600,001 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 13%ის

მცურავი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

- 7,000 ლარიდან 150,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%
- 150,001 ლარიდან 600,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%
- 600,001 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვ--ნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5%

სააგენტო ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას 8%-ის ოდენობით, არაუმეტეს 48 თვის განმავლობაში.

ქვეკომპონენტი ახალი მრავალწლოვანი კულტურების გაშენებისათვის

შეღავათიანი აგროკრედიტის" პროექტის "ძირითადი საშუალებების" კომპონენტის ქვეკომპონენტის ფარგლებში ახალი მრავალწლოვანი კულტურების გაშენებისათვის, შეღავათიანი აგროკრედიტი გაიცემა მხოლოდ ახალი მრავალწლოვანი კულტურების გაშენებისათვის

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საკრედიტო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

- 20,000 ლარიდან 150,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 15%ის
- 150,001 ლარიდან 600,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 14%ის
- 600,001 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 13%ის

მცურავი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

- 20,000 ლარიდან 150,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%
- 150,001 ლარიდან 600,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%
- 600,001 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5%

სააგენტო ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას 11%-ის ოდენობით, არაუმეტეს 66 თვის განმავლობაში.

აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის სპეციალიზებული და სეზონური პროექტებისთვის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში

- 20,000 ლარიდან 150,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 15%ის
- 150,001 ლარიდან 600,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 14%ის
- 600,001 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 13%ის
- 1,500,001 ლარიდან 5,000,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 12%ის
- 5,000,001 ლარიდან 15,000,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 11%ის

აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის სპეციალიზებული და სეზონური პროექტებისთვის მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში

- 20,000 ლარიდან 150,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%
- 150,001 ლარიდან 600,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%
- 600,001 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5%
- 1,500,001 ლარიდან 5,000,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 4%
- 5,000,001 ლარიდან 15,000,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 3%

სააგენტო ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას 5%-ის ოდენობით, 12-დან 36 თვის ჩათვლით, აღებული სესხის მიზნობრიობის მიხედვით.

შეღავათიანი აგროკრედიტი საპროცენტო განაკვეთები სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში" აგრონაწილის ფარგლებში

- 1,500,000 ლარიდან 3,000,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%ის
- 3,000,001 ლარიდან 5,000,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5%-ის

სააგენტო ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას 10%-ს ოდენობით. არაუმეტეს 24 თვის განმავლობაში.

შეღავათიანი აგროლიზინგი

- 20,000 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 19%-ის

ქვეკომპონენტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მექანიზაციისთვის

- 7,000 ლარიდან 1,500,000 ლარის ჩათვლით არაუმეტეს 19%-ის

სააგენტო ახორციელებს საღიზინგო საზღაურის თანადაფინანსებას 9% ოდენობით. არაუმეტეს 48 თვის განმავლობაში.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

პროექტის ფარგლებში ფინანსდება ახალი გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების შექმნა. გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში მონაწილეობის მისაღებად, ბენეფიციარის პროექტის ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 250,000 ლარს. შემნახველი საწარმოების კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილი უნდა იყოს არანაკლებ 200 ტონის ტევადობის საწარმოს შექმნა. პროექტის ფარგლებში, ბენეფიციარი მიიღებს თანადაფინანსებას პროექტის ღირებულების 50%-ის ოდენობით (მაგრამ, არაუმეტეს 600,000 ლარს). ბენეფიციარს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს შეღავათიანი აგრო კრედიტით, რომელიც უნდა შეადგენდეს პროექტის ღირებულების 50%-ს (მაგრამ, არაუმეტეს 1,500,000 ლარს); საზღვრისპირა, მაღალმთიანი დასახლებების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს არაუმეტეს 60%-ს (მაგრამ, არაუმეტეს 600,000 ლარს).

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამა ხორციელდება „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის“ (AMMAR) ფარგლებში. პროგრამა ფინანსდება სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (GEF) მიერ. პროგრამა შედგება ორი კომპონენტისგან: პირველადი წარმოების კომპონენტი და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების კომპონენტი.

პირველადი წარმოების კომპონენტი

პროგრამის ბენეფიციარები: ფერმერები და კომერციული იურიდიული პირები, რომელთაც სურთ არსებული ბაღების განახლება ან ახალი ბაღების გაშენება, სასათბურე მეურნეობების მოწყობა/ განახლება, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა-აღჭურვილობის შეძენა, ყინვისგან და სეტყვისგან დამცავი სისტემების შეძენა, მოსავლის პირველადი დამუშავება/გადამუშავებისათვის საჭირო დანადგარების შეძენა და მოსავლის პირველადი დასაწყობებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

პროგრამის ძირითადი პირობები: ბენეფიციარი სახელმწიფოსგან იღებს თანადაფინანსებას პროექტის ჯამური ღირებულების 40%-ის ოდენობით, ბენეფიციარის თანამონაწილეობა 60%. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის სახელმწიფო თანადაფინანსების მაქსიმალური სიდიდეა 150,000 აშშ დოლარის შესაბამისი თანხა ლარებში, სხვა პირებისთვის - 15,000 აშშ დოლარის შესაბამისი თანხა ლარებში.

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების კომპონენტი

პროგრამის ბენეფიციარები: კომერციული იურიდიული პირები, რომელთაც სურთ არსებული გადამმუშავებელი/შემნახველი საწარმოების მოდერნიზაცია ან ახალი გადამმუშავებელი/შემნახველი საწარმოების შექმნა.

პროგრამის ძირითადი პირობები: ბენეფიციარი სახელმწიფოსგან იღებს თანადაფინანსებას პროექტის ჯამური ღირებულების 40%-ს ოდენობით, ბენეფიციარის თანამონაწილეობა 60%. სახელმწიფო თანადაფინანსების მაქსიმალური სიდიდეა 100,000 აშშ დოლარის შესაბამისი თანხა ლარებში.

პროგრამა „დანერგე მომავალი“

პროგრამის ფარგლებში, ფერმერებს საშუალება აქვთ, სახელმწიფო თანადაფინანსების დახმარებით, გააშენონ მრავალწლოვანი ხეხილის ბაღები და შექმნან სანერგე მეურნეობები. პროგრამის მთავარი მიზანია, მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება, რის შედეგადაც, მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამმუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

პროგრამა „დანერგე მომავალი“ შედგება ორი კომპონენტისა და ერთი ქვეკომპონენტისაგან: მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი, კენკროვანი კულტურების დაფინანსების ქვეკომპონენტი და სანერგე მეურნეობის თანადაფინანსების კომპონენტი.

მრავალწლოვანი ბაღების კომპონენტში ფინანსდება: ნერგების ღირებულების 70% (დადგენილია თითოეულ ნერგზე თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა) წვეთოვანი სარწყავი სისტემის ღირებულების 50% (0,5 ჰა-ზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოსაწყობად განსაზღვრულია არაუმეტეს 1,250 ლარის ოდენობის თანადაფინანსება). სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში დაფინანსდება თითოეული მიზნობრიობის ღირებულების +10%. სახელმწიფო პროექტში „დანერგე მომავალი“ ბენეფიციარს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს რამდენჯერმე, თუმცა, ჯამურად მიღებული დაფინანსების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 250,000 ლარს, ხოლო ჯამურად გაშენებული ბაღის ფართობი, არ უნდა აღემატებოდეს 50 ჰექტარს. პროექტის ბაღების კომპონენტის ფარგლებში, დაფინანსდება ერთი ბენეფიციარის მიერ არანაკლებ 0.5 ჰა მრავალწლიანი კულტურის ბაღის გაშენება.

თანადაფინანსების მოცულობა 0.5 ჰა-ზე არ უნდა აღემატებოდეს 5,000 ლარს. ლურჯი მოცვის კულტურაზე 0.5 ჰა-ზე დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტი შეადგენს 7,500 ლარს. ბაღების კომპონენტის ფარგლებში, პირველ რიგში, დაფინანსდება შესასყიდი ნერგების ღირებულების 70%, ხოლო თანხის დარჩენილი სხვაობიდან - წვეთოვანი სარწყავი სისტემა.

კენკროვანი კულტურების ქვეკომპონენტი ითვალისწინებს კენკროვანი კულტურის (ლურჯი მოცვი, ჟოლო, მაყვალი) ბაღის გაშენებისათვის საჭირო ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემის შეძენა/მონტაჟის და სხვა საჭირო მასალების ღირებულების 100%-ით დაფინანსებას. გასაშენებელი ბაღის მინიმალური ფართობი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 0.15 ჰა-ს ამავდროულად, ერთ ფიზიკურ პირზე დასაშვებია არა უმეტეს 0,5 ჰა-ის ჩათვლით კენკროვანი კულტურების ბაღის გაშენების დაფინანსება.

სანეიგე მეუხნეობის კომპონენტში ფინანსდება: სანეიგე მეუხნეობის შექმნის ღიხებუღების 70%, ახაუმეტეს 500,000 ღახის.

ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა „ქართული ჩაი“

პროგრამის მიზანია როგორც კერძო სექტორში, ასევე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია, ჩაის პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, თანამედროვე ჩაის გადამმუშავებელი საწარმოების შექმნა და ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიო ჩაი) წარმოების ზრდის ხელშეწყობა.

პროგრამის ფარგლებში, იურიდიული პირები (გარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა), რომლებსაც საკუთრებაში გააჩნიათ ჩაის პლანტაცია, მიიღებენ სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო თანხის 60%-ს, ხოლო ჩაის პლანტაციის სახელმწიფოსგან იჯარით აღების შემთხვევაში, თანადაფინანსების მოცულობა იზრდება 70%-მდე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის შემთხვევაში, მიიღებენ სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო თანხის 80%-ს, ხოლო ჩაის პლანტაციის სახელმწიფოსგან იჯარით აღების შემთხვევაში - 90%-ს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, პლანტაციის რეაბილიტაციის შემდეგ სახელმწიფოსგან სრულიად უსასყიდლოდ გადაეცემათ ჩაის პირველადი გადამუშავებისთვის საჭირო ყველა მანქანა-დანადგარი.

სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების ხელშეწყობის პროგრამა „ახალგაზრდა მეწარმე“

პროგრამა ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო“ დონორი ორგანიზაციის, დანიის სართაშორისო განვითარების სააგენტოს (DANIDA) დაფინანსებით.

პროგრამის ბენეფიციარები: რეგიონებში ახალი ბიზნესის დაწყების მსურველი ინდივიდუალური მეწარმეები, რომელთა ასაკი შეადგენს 18-35 წელს მამაკაცების შემთხვევაში და 18-40 წელს ქალების შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, რომელთა დამფუძნებლები/მეპაიეები და გამგეობის თავმჯდომარე/დირექტორ(ებ)ი არიან 18-35 წლის მამაკაცები ან/და 18-40 წლის ქალები.

პროგრამის ძირითადი პირობები: პროგრამის ფარგლებში ფინანსდება როგორც სასოფლო-სამეურნეო, ასევე არასასოფლო-სამეურნეო ბიზნეს საქმიანობა. სახელმწიფოს თანადაფინანსება შეადგენს ბიზნეს-გეგმაში აღწერილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების არაუმეტეს 40%-ს (არაუმეტეს 60,000 ლარი). პროექტის საინვესტიციო ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 10,000 (ათი ათასი) ლარს.

პროგრამა „აგროდაზღვევა“

პროგრამის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირებაა.

აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში, ფერმერებს შესაძლებლობა აქვთ დააზღვიონ მოსავალი **სეტყვის, წყალდიდობის, ქარიშხლის და საშემოდგომო ყინვისაგან.**

პროექტის ფარგლებში, შესაძლებელია დაიზღვეს არაუმეტეს 5 ჰა მიწის ნაკვეთი, გარდა მარცვლეული კულტურებისა, სადაც მიწის მაქსიმალური ფართობი 30 ჰა-ს შეადგენს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში, სადაზღვევო პრემიის მაქსიმალური ოდენობა 50,000 ლარია, ხოლო დასაზღვევი მიწის ნაკვეთის ფართობი შეუზღუდავია.

ფერმერს, რომელიც პროექტის ფარგლებში შეიძენს დაზღვევას, დაუფინანსდება მისი ღირებულების:

- 50% - ვაზის დაზღვევის შემთხვევაში
- 70% - ყველა სხვა კულტურის დაზღვევის შემთხვევაში

ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი

პროექტის მიზანია აღრიცხულ იქნეს საქართველოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ყველა პირი (გარდა იმ პირებისა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევიან მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირ(ებ)ის დაკვეთით ან/და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე), რაც შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს ფლობდეს მათ შორის სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც გამოყენებული იქნება სამიზნე ჯგუფების სწორი შერჩევისათვის და მათთვის სხვადასხვა მასტიმულირებელი პროექტების/პროგრამების საჭიროებისამებრ დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

ამოცანები

- სასოფლო-სამურნეო საქმიანობით დაკავებული იმ პირების იდენტიფიცირება, რომელთა შესახებ პირველადი ინფორმაციის მოძიება ხდება სხვადასხვა სახელმწიფოს უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ;
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული იდენტიფიცირებული პირების და მათი საქმიანობის შესახებ მოძიებული პირველადი ინფორმაციის სისტემატიზაცია, კლასიფიკაცია და ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეტანა;
- ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეტანილი პირველადი ინფორმაციის გადამოწმება და დაზუსტება „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტით“ დადგენილი წესის შესაბამისად;
- ელექტრონული, დინამიური და ინტერაქტიული სისტემის შექმნა.

სოფლის განვითარების პროგრამა

ევროკავშირის(EU)„სოფლისადასოფლისმეურნეობისგანვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის" (ENPARD) დაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ააიპ „სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო" (ARDA) ახორციელებს „სოფლის განვითარების პროგრამას".

პროგრამა ითვალისწინებს სოფლად ეკონომიკური და გარემოს-დაცვითი საქმიანობების ხელშეწყობას თანადაფინანსების გზით.

პროგრამის მიზნებია:

1. სოფლად არასასოფლო-სამეურნეო სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეკონ-მიკურ დივერსიფიკაციას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.
2. გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევა და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენება.

პროგრამის ამოცანებია:

- სოფლად ეკონომიკისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა;
- სოციალური პირობებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის გაუმჯობესება.

პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალია შემდეგი მუნიციპალიტეტები: **ქედა, ხულო, ბორჯომი, ახალქალაქი, თეთრი-წყარო, ყაზბეგი, ლაგოდეხი და დედოფლისწყარო.**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა:

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგე-ნტოს კოოპერაციის მხარდამჭერი პროგრამების/პროექტების მიზანია ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერული გაერთია-ნებების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყა-

ლიბების ხელშეწყობა, სააგენტო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას და სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს.

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭება

კოოპერატივისათვის სტატუსის მინიჭებისთვის:

- გაერთიანებით დაინტერესებული პირები საჯარო რეესტრში კოოპერატივის ორგანიზაციული ფორმით უნდა დარეგისტრირდნენ
- მაღალმთიან რეგიონში კოოპერატივის წევრთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3 წევრს, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე არანაკლებ 9 წევრს;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მისაღებად განცხადებით უნდა მიმართონ ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;
- განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პაის შეტანის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მეპაიესა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ურთიერთვალდებულებებისა და უფლებების შესახებ, სადაც ასახული იქნება კოოპერატივის მიერ მეპაიეზე გასაწევი მომსახურების სახე, ღირებულება, პაის ოდენობა და სახე და სხვა პირობები;
- კოოპერატივის წესდება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭება არის უფასო.

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს:

- 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობს პაის;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

მოკლე ინფორმაცია მიმდინარე პროექტების შესახებ:

1. მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკში თაფლის გადამმუშავებელი კოოპერაციული საწარმოს მშენებლობა დასრულდა, კონკურსის წესით შერჩეულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს საწარმო საკუთრებაში სახელმწიფოს მხრიდან 70%-იანი თანადაფინანსებით გადაეცემა, რომლის გადახდას კოოპერატივი უზრუნველყოფს 8 წლის განმავლობაში.

საწარმოში შესაძლებელი იქნება დღეში არანაკლებ ორი ტონა თაფლის მიღება, გადამუშავება და სხვადასხვა მოცულობით ჩამოსხმა, საწარმოში ასევე მოხდება ფიჭის დამზადება.

მეფუტკრეებს, სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის შედეგად, შესაძლებლობა მიეცემათ თაფლის კოოპერაციულ საწარმოში გადაამუშაონ თაფლი და ერთიანი ბრენდის ქვეშ მოახდინონ რეალიზება, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. საწარმოს მეპაიე წევრებს, ასევე, ექნებათ საშუალება აღნიშნულ საწარმოში მიიღონ მომსახურება და საკუთარი ბრენდის ქვეშ მოახდინონ თაფლის ჩამოსხმა და რეალიზება.

2. „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალური გამოყენების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაფხოში რძის გადამმუშავებელი საწარმოს მშენებლობა დასრულებულია. საწარმო, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიებით მაღალი ხარისხის რძის პროდუქტების, მათ შორის, დამბალხაჭოს სამრეწველო წარმოებას, კონკურსის წესით შერჩეულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს სახელმწიფოს მხრიდან 75%-იანი თანადაფინანსებით გადაეცემა, 25%-ის გადახდას კოოპერატივი 8 წლის განმავლობაში უზრუნველყოფს. პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია რძის გადამმუშავებელი საწარმოების აშენება და აღჭურვა დმანისის, წალკის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში, რომლებიც, საწარმოთა ღირებულების 25%იან თანამონაწილეობას დაფარავენ 8 წლის განმავლობაში. კოოპერატივების შერჩევა განხორციელდება კონკურსის წესით, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარ-დაჭერის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუ-ტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კაპიტალური ინვეს-ტირების განხორციელება და მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება.

სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეს თანადაფინანსებით, გრანტის სახით ღირებულების 30%-ად გადაეცემათ ფუტკრის სკები და სხვადასხვა სახის აღჭურვილობები.

4. რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამია მიზანია საქართველოში რძისა და რძის ნაწარმის წარმოების ხელშეწყობა;

რძის გადამმუშავებელი ინდუსტრიის ნედლი რძით უზრუნველყოფა;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ფარგლებში, თანამედ-როვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ნედლი რძის მიმღებ-გადამ-მუშავებელი საწარმოების შექმნა;

ადგილობრივი რძისა და რძის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება და კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრირებულ კოოპერატივებს შეუძლიათ მიიღონ რძის გადამამუშავებელი მანქანა-დანადგარების შესასყიდად 95%-იანი თანადაფინანსება, არაუმეტეს 150,000 ლარისა, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე 90%-იანი თანადაფინანსება, არაუმეტეს 150,000 ლარისა.

5. მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამის მიზანია ქვეყანაში წარმოებული ყურძნის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული ყურძ-ნის გადამუშავების ხელშეწყობა; სასოფლო-სამეურნეო კოოპერა-ტივების ფარგლებში, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ყურძნის მიმღებ-გადამმუშავებელი საწარმოების შექმნა; სააგენტოს თანადაფინანსება მოიცავს არანაკლებ 100 ტონა ყურძნის გადამუშავებისათვის საჭირო მანქანა-დანადგარების

შესყიდვის არაუმეტეს 90%-იან თანადაფინანსებას, არაუმეტეს 500,000 ლარისა, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 95%-იანი თანადაფინანსება არაუმეტეს 500,000 ლარისა.

6. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების სახელმწიფო პროგრამა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების სახელმწიფო პროგრამა ითვალისწინებს კოოპერატივების მიერ პროდუქციის წარმოების პროცესის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის და მათი პოპულარიზაციის ხელშეწყობას.

პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული სურსათის უვნებლობის/მიკვლევადობის უზრუნველყოფა და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდა.

პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის დანერგვას;
- ბრენდირებას.

საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემის დანერგვის შემთხვევაში მომსახურების ღირებულების არანაკლებ 10%-ს დაფარავს ბენეფიციარი, არაუმეტეს 90%-ს კი – სააგენტო, მაგრამ არაუმეტეს 13,500 ლარისა.

განსაზღვრული დონორის არსებობის შემთხვევაში, სააგენტოსა და დონორის მიერ დასაფარი თანხის ოდენობა განისაზღვრება მათ შორის არსებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

ბრენდირების კომპონენტში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, მომსახურების ღირებულების არანაკლებ 10%-ს დაფარავს ბენეფიციარი, არაუმეტეს 90%-ს კი – სააგენტო, მაგრამ არაუმეტეს 13,500 ლარისა.

ბრენდირების კომპონენტში მონაწილეობისას კოოპერატივს ასევე შეუძლია, მოითხოვოს წარმოებული პროდუქტის ბრენდირებისათვის/საბოლოო სასაქონლო სახის მისაცემად საჭირო აღჭურვილობის შეძენაში თანადაფინანსება. აღჭურვილობის ღირებულების არანაკლებ 30%-ს დაფარავს ბენეფიციარი და არაუმეტეს 70%-ს კი – სააგენტო, მაგრამ არაუმეტეს 10 000 ლარისა.

სააგენტოს საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია და სიახლეები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.arda.gov.ge

სურსათის ეროვნული სააგენტო

სურსათის ეროვნული სააგენტო

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ქვეყანაში სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ერთადერთი ორგანოა. სააგენტოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა უვნებელი სურსათის მიწოდების გზით.

სააგენტო საქმიანობას საქართველოს ყველა რეგიონში ახორციელებს. ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება აქვს ისარგებლოს ყველა იმ სერვისით, რასაც სურსათის ეროვნული სააგენტო სთავაზობს.

- სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობისა და ხარისხის დაცვის უზრუნველყოფა, წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე, სურსათის/ცხოველის საკვების საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;
- მინერალური წყლის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია; წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიის მინიჭების უზრუნველყოფა; ჰიგიენური და კომპეტენციის ფარგლებში, ვეტერინარული სერტიფიკატის გაცემა და გაცემაზე კონტროლი;
- ცხოველთა ჯანმრთელობისა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის უზრუნველსაყოფად კონტროლის განხორციელება;
- გადამდები დაავადებების დიაგნოსტიკა, მათი საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამების შემუშავება, ვეტერინარული კარანტინის ორგანიზება;
- ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია; ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაცია;

- ვეტერინარული პრეპარატების, არასასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვების და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების სახელმწიფო კონტროლის უზრუნველყოფა;
- კომპეტენციის ფარგლებში ვეტერინარული სერტიფიკატის გაცემა და გაცემაზე კონტროლი;
- პესტიციდებისა და აგროქიმიკატების რეგისტრაცია, მათი გამოყენებისა და მიმოქცევის კონტროლი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- მცენარეთა დაცვის უზრუნველსაყოფად კონტროლის განხორციელება;
- მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო, პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- კარანტინს დაქვემდებარებული პროდუქციის ფიტოსანიტარიული საკარანტინო შემოწმება;
- მცენარეთა დაცვისა და აგროქიმიურ საშუალებათა რეგისტრაცია და მათი კონტროლი;
- ნებართვებისა და სერტიფიკატების გაცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ვეტერინარული და ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემა.

სააგენტოს საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია და სიახლეები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.nfa.gov.ge

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

აგრარულ სექტორში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აღდგენის მიზნით, შეიქმნა სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი საცდელ-სადემონსტრაციო აქტივობებს ახორციელებს, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში არსებულ ბაზებზე.

ცენტრი ახორციელებს:

1. **ნიადაგის ანალიზი:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრი - აწარმოებს ნიადაგის ანალიზის ფასიან მომსახურეობას;
2. **თესლისა და სარგავი მასალის სერტიფიცირება:** ცენტრის სერტიფიცირების სამსახურის წარმომადგენლები საველე ინსპექ-ტირებისა და სათესლე მასალის ლაბორატორიული ტესტი-რების შედეგების საფუძველზე აწარმოებენ ჯიშურობის დამადა-სტურებელი სერტიფიკატის გაცემას. მომსახურება ფასიანია;
3. **მრავალწლოვანი კულტურების მიმართულებით:** დარგით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს შეუძლია მიიღოს უფასო მომსახურეობა ტრეინინგებისა და კონსულტაციების სახით (მათ შორის ონლაინ და სატელეფონო რეჟიმში), ეწვიოს ჯიღაურას ბაზაზე გაშენებულ ხეხილისა და ვაზის საკოლექციო ნარგაობებს და გაეცნოს ვაზისა და ხეხილის გაშენების, მოვლა-მოყვანის, ვაზისა და მცენარეთა მავნებელ-დაავადებებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ;
4. **მევენახეობა-მეღვინეობის კვლევის სამსახური** - დარგით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს შეუძლია ეწვიოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას ბაზას, გაეცნოს ვაზის ჯიშებს, მათი გაშენების თავისებურებებს, მიიღოს უფასო

კონსულტაციები (მათ შორის ონლაინ და სატელეფონო რეჟიმში) ღვინისა და ქვევრის ღვინის ტექნოლოგიური პროცესებისა და თავისებურებების, გამოყენებული ენოლოგიური მასალების, ღვინის დაავადებებისა და მათი თავიდან აცილების მიზნით სხვადასხვა პრევენციული ზომების შესახებ;

5. **მარცვლეული კულტურების კვლევის სამსახური:** დარგით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს შეუძლია გაიაროს უფასო ტრეინინგები და კონსულტაციები (მათ შორის ონლაინ და სატელეფონო რეჟიმში) მარცვლეული კულტურების, ჯიშებისა და მათი მახასიათებლების, მათი მოვლა-მოყვანისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესახებ; ასევე, სამსახურის მიერ იმართება საველე დღეები, სადაც დაინტერესებული პირები ადგილზე ეცნობიან მარცვლეული კულტურების შესახებ ინფორმაციას. დასწრება უფასოა;
6. **სოფლის მეურნეობის შენახვა-გადამუშავების კვლევის სამსახური**: ახორციელდება უფასო ტრეინინგებსა და კონსულტაციებს (მათ შორის ონლაინ და სატელეფონო რეჟიმში) პროდუქტთა შენახვა-გადამუშავებისა და მასთან დაკავშირებული საკითხებზე;
7. **ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების კვლევის სამსახური**: რეგულარულად ატარებს უფასო სასწავლო კურსებს, რომელიც როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ სწავლებას მოიცავს. მონაწილეობის მსურველებს სააპლიკაციო ფორმის შევსება უწყების ოფიციალურ გვერდზე შეუძლიათ;
8. **მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის სამსახური**: აწარმოებს უფასო მომსახურეობასა და კონსულტაციებს, ატარებს ტრეინინგებს მავნებელ-დაავადებების, მათ წინა-აღმდეგ ბრძოლისა და ინტეგრირებული დაცვის მეთოდებზე, დაცვის პრეპარატებსა, მათი გამოყენების დადებითი და უარყო-ფითი მხარეების შესახებ;
9. **მეფუტკრეობა**: სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მუხურის მეფუტკრეობის ბაზაზე (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი) დარგით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს შეუძლია გაიაროს უფასო მომსახურეობა

ტრეინინგებისა და კონსულტაციების სახით მეფუტკრეობის მიმართულებით: ფუტკრის ოჯახების მოშენება, დაავადებების პრევენცია, საფუტკრის მოწყობა, დედა ფუტკრის გამოყვანა;

10. **მეაბრეშუმეობა**: სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეაბრეშუმეობის სადგური ნებისმიერ დარგით დაინტერესებულ პირს უწევს უფასო კონსულტაციებს ამ მიმართულებით. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ეწვიონ სადგურს, დაათვალიერონ და გაეცნონ აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოყვანის პროცესებს, მიიღონ ინფორმაცია აბრეშუმის ჭიის დაავადებებისა და მათ წინააღმდეგ პრევენციული ზომების შესახებ;
11. **ვეტერინარიის კვლევის დეპარტამენტი**: ახორციელებს უფასო კონსულტაციებს (ადგილზე და ონლაინ და სატელეფონო რეჟიმში), მეცხოველეობაში გავრცელებული დაავადებებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ; დაინტერესებული პირებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა პრეპარატების, მათი გამოყენების დოზებისა და ეფექტურობის შესახებ;
12. **მეცხოველეობის დეპარტამენტი**: ახორციელებს უფასო კონსულტაციებს კახური ღორის, სხვდასხვა მსხვილ და წვრილფეხა ცხოველის მოვლა-მოშენების, ფრინველის გამოზრდისა და მათი დაავადებების, თევზის მოშენებისა და დაავადებების, მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ;
13. **პროგრამა „დანერგე მომავლის"** ფარგლებში, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ახორციელებს ფერმერებისა და დაინტერესებული პირთათვის კულტურის მიწასთან შესაბამისობის დოკუმენტის უფასო გაცემას;
14. ცენტრი მუდმივად ახორციელებს თემატური ბუკლეტების უფასოდ დარიგებას.

ცენტრის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია და სიახლეები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.srca.gov.ge

ეროვნული სატყეო სააგენტო
National Forestry Agency

ეროვნული სატყეო სააგენტო

საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყით სარგებლობასთან, ხე-ტყის მოძრაობასა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველად გადამუშავებასთან დაკავშირებული ღონისძიებების აღრიცხვის მიზნით, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო მერქნული რესურსების მართვას ელექტრონული სისტემით აწარმოებს.

სოციალური ჭრისათვის გამოყოფილი ტყეკაფებიდან გაიცემა ხე-ტყის დამზადების ბილეთი, რაც წარმოადგენს ხე-ტყის დამზადების დაწყების განმსაზღვრელ დოკუმენტს.

ხე-ტყის დამზადების ბილეთის შესაძენად, პიროვნება მიმართავს სს ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალს (ლიბერთი ბანკის გააჩნია წვდომა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემასთან).

ბუნებრივი რესურსების შესაბამისი მოსაკრებლისა და მომსახურების საფასურის გადახდის შემდეგ, პირი იღებს ხე-ტყის დამზადების ბილეთს. ბილეთში მითითებულია ინფორმაცია ხე-ტყით მოსარგებლის, ტყეკაფის მდებარეობის, ჯიშის, მოცულობის, ხე-ტყის ხარისხის შესახებ და ა.შ.

მოსაკრებლის საფასური სახეობების მიხედვით განისაზღვრება ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (იხ. ცხრილი), ხოლო სააგენტოს მომსახურების საფასური 1 $მ^3$-ზე შეადგენს 3 ლარს. მოქალაქეების მიერ სოციალური ჭრის ფარგლებში მოსაკრებელი განსაზღვრულია სამასალე ხე-ტყით სარგებლობისათვის II კატეგორიით, ხოლო საშეშე რესურსით სარგებლობის შემთხვევაში IV კატეგორიის მოსაკრებლით.

ტყის მერქნიან სახეობათა ჯგუფები და სახეობათა დასახელებები	მოსაკრებლის ოდენობა ერთი კუბური მეტრისათვის ლარებში			
	I კატეგორია	II კატეგორია	III კატეგორია	IV კატეგორია
1	2	3	4	5
I ჯგუფი: უთხოვარი, ბზა, ღვია, ძელქვა, კაკალი	102	71	41	6
II ჯგუფი: მუხა, წაბლი, იფანი, თელა, თუთა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, პანტა, საღსაღაჯი	60	42	24	4
III ჯგუფი: წიფელი, რცხილა, აკაცია, აკაკი, უხრავი	47	33	19	3
IV ჯგუფი: ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, კედარი, კვიპაროსი, კრიპტომერია, ტუია	22	15	9	2
V ჯგუფი: ჯაგრცხილა, ჭადარი, ტყის დანარჩენი მერქნიანი სახეობები	13	9	5	2

ხე-ტყის დამზადების ბილეთის შეძენის უფლების მოსაპოვებლად საჭიროა პიროვნების ელექტრონულ სისტემაში წინასწარი რეგისტრაცია.

- **I ხარისხის (სამასალე)** ხე-ტყის მომთხოვნი პირების რეგისტრაცია ხორციელდება სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის მიერ, მართვის ორგანოში წარდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე. კანონმდებლობით დადგენილი მომართვის შემდგომ, სააგენტო პირდაპირი მიყიდვის წესით გასცემს I ხარისხის ხე-ტყეს.
- **II ხარისხის (საშეშე)** ხე-ტყით მოსარგებლეთა რეგისტრაცია ხდება თვითმმართველობის ორგანოების მიერ, მართვის ორგანოში წარდგენილი კომლის (ოჯახის) წარმომადგენელთა სიის საფუძველზე. კალენდარული წლის განმავლობაში ერთ კომლზე (ოჯახზე) გასაცემი მეორე-ხარისხის ხე-ტყის მოცულობა შეზღუდულია და განისაზღვრება 7 $მ^3$-ით (მაღალმთიანი დასახლებული პუნქტებისთვის 15 $მ^3$-ით). დღეის მდგომარეობით

ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირებულია 716 719 კომლის წარმომადგენელი, მათ შორის 119 788 მაღალმთიანი რეგიონებიდან.

ხე-ტყის დამზადების ბილეთის შეძენის შემდეგ, პიროვნება მიმართავს ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოს შესაბამის თანამშრომელს (ტყის მცველს), რომელიც აღნიშნული ბილეთის საფუძველზე გასცემს ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტს. ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი წარმოადგენს ხე-ტყის კანონიერი წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტს და დადგენილი წესით ივსება ხე-ტყის დამზადების ან ხე-ტყის დატვირთვის ადგილზე ხე-ტყის ტრანსპორტირებამდე.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში და ტყის მდგრადი მართვის პრინციპების გათვალისწინებით ახორციელებს სპეციალურ ჭრებს. აღნიშნული ჭრების შედეგად დამზადებული ხე-ტყის რეალიზაცია ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ღია აუქციონის მეშვეობით ხორციელდება შემდეგ ელექტრონულ მისამართზე www.eauction.ge აღნიშნულ აუქციონში მონაწილეობის მიღება და სასურველი მერქნული რესურსის, როგორც სამასალე, ისე საშეშე კატეგორიის ხე-ტყის შეძენა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. აუქციონზე გამოტანილი მერქნული რესურსის საწყისი სარეალიზაციო ფასი დგინდება სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. ფასი მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებულია და დამოკიდებულია კონკრეტულ მუნიციპალიტეტში არსებულ მოთხოვნასა და საბაზრო ფასზე, აგრეთვე მერქნული რესურსის სახეობასა და მის ხარისხზე. აუქციონში დაფიქსირებული ფასის გადახდის შემდგომ სატყეო სააგენტო უმოკლეს ვადებში უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, რის შემდეგაც გამარჯვებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია განკარგოს შეძენილი მერქნული რესურსი.

სააგენტოს საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია და სიახლეები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.forestry.gov.ge

სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“ მოსახლეობას, მთელი საქართველოს მასშტაბით, 80-მდე აგროოპერაციის მომსახურებას (მოსავლის აღება, თესვა, მიწის მოხვნა, დადისკვა და ა.შ) სთავაზობს.

კომპანიის ტექნიკა განთავსებულია ქვეყნის მასშტაბით მდებარე კომპანიის სერვისცენტრებში (13 სერვისცენტრი)

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს სერვისცენტრს და მიიღოს კონსულტაცია აგროოპერაციების განხორციელების ვადებზე და სხვა დეტალებზე, ასევე შესაძლებელია ტექნიკის დაჯავშნა სასურველ დროს სასურველი აგროოპერაციის შესასრულებლად.

კომპანიის მომსახუჰების შესახებ სჰუღი ინფოჰმაციის (ყვეღა აგჰოოპეჰაცია, ტაჰიფები, ტექნიკის აღგიღმღებაჰეობა ჰეგიონების მიხეღვით) მიღება შესაძღებეღია კომპანიის ვებგვეჰღზე: www.alsc.ge

გარემოს ეროვნული სააგენტო

1. სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შესაძლებლობა აქვს ფერმერებისთვის წინასწარ, 3 დღით ადრე, განსაზღვროს ამინდის დეტალური პროგნოზი (ფასიანი მომსახურება). აღნიშნულ ინფორმაცია ფერმერს საშუალებას აძლევს გაზაფხულსა და შემოდგომაზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა სწორად და დროულად დაგეგმოს.
2. ფერმერს შესაძლებლობა აქვს წინასწარ, 3-5 დღით ადრე, მიიღოს საჭირო ინფორმაცია ზამთრის პერიოდში მოსალოდნელი ყინვების და ტემპერატურის მაქსიმალურად დაკლების შესახებს (ფასიანი მომსახურება). მიღებული ინფორმაცია შესაძლებლობას იძლევა წინასწარ გატარდეს პრევენციული ზომები და მაქსიმალურად იქნას აცილებული მოსალოდნელი ზარალი.
3. სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს შესაძლებლობა აქვს წინასწარ, 5 დღით ადრე, განსაზღვროს საქართველოს მასშტაბით მოსალოდნელი მაღალი ტემპერატურის პროგნოზი (განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში - ივლისი, აგვისტო, სექტემბერი). წინასწარი პროგნოზი ეგზავნება დაავადებათა კონტროლოს ეროვნულ ცენტრს, მზადდება ერთობლივი რეკომენდაციები (ინფორმაცია უფასოა).
4. საქართველოს მასშტაბით, სააგენტო ატმოსფერულ ჰაერში, ნიადაგსა და წყალში ტყვიის შემცველობას აკონტროლებს. გეგმიური კვლევები, რომლის ლოკაციებს სააგენტოს სპეციალისტები განსაზღვრავენ, უფასოდ ხორციელდება. ამასთან, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, შესაძლებლობა აქვს წერილობით მომართოს გარემოს ეროვნულ სააგენტოს ან დარეკოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე - 1501 და შეტყობინების შემდეგ,

გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები ადგილზე გავლენ და კვლევისთვის აიღებენ სინჯებს. ნიმუშებს გარემოს ეროვნული სააგენტოს ლაბორატორია დაამუშავებს და კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაცია 10 დღის ვადაში იქნება ცნობილი (ფასიანი მომსახურება).

სააგენტოს საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია და სიახლეები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.nea.gov.ge

დაცული ტერიტორიების სააგენტო

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ეროვნულ პარკებში ფუნქციონირებს ვიზიტორთა ცენტრები, სადაც დამთვალიერებელს ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეუძლია ეროვნული პარკების, ეკოტურისტული მარშრუტებისა და ზოგადად, დაცული ტერიტორიების შესახებ.

ვიზიტორთა ცენტრები ფუნქციონირებს შემდეგ დაცულ ტერიტორიებზე:

- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი
- ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები
- თუშეთის დაცული ტერიტორიები
- ქობულეთისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიები
- კოლხეთის ეროვნული პარკი
- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები
- მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლი
- პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლი
- მაჭახელას ეროვნული პარკი
- მტირალას ეროვნული პარკი
- ოკაცეს კანიონის ბუნების ძეგლი

- ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი
- სათაფლიას დაცული ტერიტორიები
- ჯავახეთის დაცული ტერიტორიები
- ალგეთის ეროვნული პარკი
- ყაზბეგის ეროვნული პარკი

სააგენტო დაცულ ტერიტორიაზე მისულ ვიზიტორს სთავაზობს სხვადასხვა ეკოტურისტულ სერვისს და ეკოტურისტულ აქტივობას.

ეკოტურისტული სერვისები:

- ღამისთევის საშუალებები (სასტუმრო ნომერი ვიზიტოთა ცენტრში, ტურისტული თავშესაფარი, ბუნგალო)
- საპიკნიკე და საკარვე ადგილები
- ზიპლაინი
- თოკების პარკი
- ცხენი
- საფარი ტური
- სანაოსნო ტურები (პანტონით, კატერით, კაიაკით, ნავით)
- ველოსიპედი
- თოვლის ფეხსაცმელები
- ჭაობის თხილამურები
- სპორტული თევზაობა
- დაივინგი (კანიონში ყვინთვა)
- სალაშქრო აღჭურვილობა

ეკოტურისტული აქტივობები:

- სალაშქრო ტურები
- საცხენოსნო ტურები
- ველოტურები
- ფრინველებზე დაკვირვების ტურები
- სპელეოტურები
- საფარიტური
- კულტურული ტურები
- ტურები ფოტომოყვარულთათვის
- სპორტული თევზაობა
- სანაოსნო ტურები (კაიაკი, პანტონი, კატერი, ნავი)
- სათავგადასავლო ტურები (თოკების პარკი, ზიპლაინი)
- ზამთრის ტურები (თოვლის ფეხსაცმელებით ლაშქრობა)

დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას საშუალება აქვს, კანონით განსაზღვრული ნორმებით, ისარგებლოს ბუნებრივი რესურსებით. ამისთვის საჭიროა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მსურველმა ორგანიზაციას მიმართოს წერილობით.

სააგენტოს საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია და სიახლეები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.apa.gov.ge

ველური ბუნების ეროვნული სააგენტო

სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს ტერიტორიაზე, ყოველწლიურად, 107 სახეობის მილიონამდე ნერგის წარმოება ხდება. ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა აქვს შეიძინოს სატყეო, დეკორატიული და ურბანული სახეობის ნერგები.

ველური ბუნების სააგენტო მომხმარებელს სთავაზობს როგორც მცენარეთა დარგვის, ასევე მოვლის სერვისს და მცენარეთა გახარებისთვის მეტყევეთა კონსულტაცია.

სააგენტოს საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია და სიახლეები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.sanerge.com

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია კვლევის ხარისხით და აღჭურვილობით საერთაშორისო დონის ყველაზე მაღალ ISO 17025 სტანდარტს აკმაყოფილებს და ყოველწლიურად წარმატებით გადის აკრედიტაციას.

ლაბორატორიული ქსელი მოიცავს თბილისის ლაბორატორიას, 2 ზონალურ-დიაგნოსტიკურ ლაბორატორიას (ქუთაისი, ახალციხე) და 10 რეგიონულ ლაბორატორიას (გორი, მარნეული, დუშეთი, გურჯაანი, ამბროლაური, ოზურგეთი, ზუგდიდი, ბათუმი, საჩხერე და მესტია).

ლაბორატორიაში აქტიურად მიმდინარეობს ახალი სტანდარტების დანერგვის პროცესი, რომელიც სტანდარტიზებულია და

ექვემდებარება საერთაშორისო მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს დაინერგა 24 ახალი სადიაგნოსტიკო მეთოდი სხვადასხვა პარამეტრზე. ლაბორატორია კვლევებს ახორციელებს 250-ზე მეტ მაჩვენებელზე.

ლაბორატორიის საქმიანობის სფერო 3 მიმართულებას მოიცავს. ესენია: სურსათის კვლევა, ცხოველთა და მცენარეთა დიაგნოსტიკა.

სურსათის კვლევის დეპარტამენტი იკვლევს სურსათს, სასურსათო ნედლეულს, ცხოველთა საკვებს და სასმელ წყალს. კვლევები სამი სხვადასხვა მიმართულების ლაბორატორიაში მიმდინარეობს, ესენია:

- ინსტრუმენტალური კვლევების ლაბორატორია - აღნიშნულ ლაბორატორიაში ხორციელდება სურსათში უვნებლობის პარამეტრების დადგენა, პესტიციდების, ანტიბიოტიკების, ტრანსცხიმების, რადიონუკლიდების და უვნებლობის სხვა პარამეტრების კვლევა.
- ზოგადი ქიმიის ლაბორატორია, რომელშიც ხორციელდება სურსათის ხარისხის დადგენა.
- მიკრობიოლოგიური კვლევების ლაბორატორია, რომელშიც ხორციელდება სურსათში მიკრობთა საერთო რაოდენობის დადგენა.

სურსათის კვლევის დეპარტამენტი ახორციელებს თაფლის კვლევას ყველა ხარისხობრივ მაჩვენებელზე. ასევე, შესაძლებელია ჩატარდეს კვლევა უვნებლობის შემდეგ პარამეტრებზე:

- ქლორამფენიკოლის განსაზღვრა თაფლში
- ქლორორგანული პესტიციდების: ჰექსაქლორციკლოჰექსანი (α,β,γ,δ იზომერები), დდტ და მისი მეტაბოლიტები (DDT, DDD, DDE), ჰეპტაქლორი) განსაზღვრა
- კადმიუმის (Cd)
- ტყვიის (Pb)
- ანტიბიოტიკების-ტეტრაციკლინის, ოქსიტეტრაციკლინის და ქლორტეტრაციკლინის განსაზღვრა თაფლში
- დარიშხანის (As) განსაზღვრა თაფლში

წყლის კვლევა ხორციელდება მიკრობიოლოგიურ და ფიზიკო-ქიმიურ მახასიათებლებზე,

მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის დეპარტამენტში მიმდინარეობს მავნებლების გამოვლენა, რომელთა ზემოქმედების შედეგად ყოველწლიურად სოფლის მეურნეობაში მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი იკარგება. მცენარეთა მავნე ორგანიზმების კვლევა მიმდინარეობს სამი სხვადასხვა მიმართულების ლაბორატორიაში, ესენია:

- ენტომოლოგიის ლაბორატორია, რომელშიც ხორციელდება მწერების, ტკიპების და ნიადაგში ნემატოდების კვლევა.
- ფიტოპათოლოგიის ლაბორატორია, სადაც მიმდინარეობს სოკოების და ბაქტერიების კვლევა, სარეველა მცენარეების და თესლის ხარისხის განსაზღვრა.
- მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორია, სადაც ხდება დაავადებების ზუსტი გამოვლენა მაქსიმალურად მცირე დროში, ასევე მიმდინარეობს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების და ალერგენების განსაზღვრა და აქტიურ და ლატენურ ფაზაში გამოვლენილი დაავადებების დაზუსტება თანამედროვე მეთოდებით.

ცხოველთა დაავადების დიაგნოსტიკის დეპარტამენტში ხდება ცხოველის, ფრინველის, თევზის და ფუტკრის დაავადებების დიაგნოსტირება. კვლევა დეპარტამენტში მიმდინარეობს 4 სხვადასხვა მიმართულების ლაბორატორიაში. ესენია:

- ბაქტერიოლოგიის ლაბორატორია, რომელშიც ხორციელდება ციმბირული წყლულის დიაგნოსტიკა, ბრუცელოზის იდენტიფიკაცია, რძის გამოკვლევა მასტიტზე, ასევე თურქულის და ცხოველთა სხვა, მათ შორის, განსაკუთრებით საშიში დაავადებების კვლევა.
- ვირუსოლოგიისა და მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორია - აღნიშნულ ლაბორატორიაში დანერგილი მეთოდების საშუალებით შესაძლებელია ცხოველთა დაავადებების სეროლოგიური და მოლეკულურ-ბიოლოგიური კვლევების განხორციელება მაქსიმალურად მოკლე დროში
- ცოფის ლაბორატორია - საქართველოში მხოლოდ ჩვენს ლაბორატორიაშია შესაძლებელი შინაურ და გარეულ ცხოველებში ცოფის დიაგნოსტიკა. ლაბორატორიას ემსახურება საცდელი ცხოველების ვივარიუმი.

- პათოლოგიურ-მორფოლოგიური კვლევებისა და პარაზიტების ლაბორატორია - ტარდება ნიმუშის გაკვეთა-დათვალიერება, მიმდინარეობს ჰისტოლოგიური კვლევები, ლაბორატორია იკვლევს პარაზიტულ დაავადებებს.

პერსონალისა და საზოგადოების უსაფრთხოებისათვის მიმდინარეობს ბიოუსაფრთხოების ნორმების დაცვის მკაცრი მონიტორინგი. ლაბორატორიაში დანერგილია ხარისხის მართვის სისტემა. პერსონალი ყოველწლიურად წარმატებით გადის პროფესიული კომპეტენციის ტესტირებებს - 2019 წელს ლაბორატორიამ წარმატებით შეასრულა 17 პროფესიული ტესტირება. 115-მა თანამშრომელმა გაიარა განახლებადი ტრენინგი ბიოუსაფრთხოებისა და ხარისხის მართვის მიმართულებით. ლაბორატორია ზრუნავს მომავალი სპეციალისტების აღზრდაზე და აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებასთან ამ მიმართულებით. პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით ეწყობა ღია კარის დღეები სტუდენტებისა და მოსწავლეებისათვის.

ღაბოხატოხიის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია და სიახლეები შეგიძლიათ იხილოთ: www.lma.gov.ge

საქართველოს მელიორაცია

საქართველოში, როგორც აგრარულ ქვეყანაში, ძველი დროიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ირიგაციას, რადგან მის გარეშე სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება წარმოუდგენელია.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისთვის ირიგაციისა და დრენაჟის სერვისების მიმწოდებელი კომპანიაა. კომპანიის სერვისებს შორისაა: ჰიდროელექტრო სადგურებისათვის, საწარმოებისთვის და ტბორებისთვის წყლის მიწოდება, სპეცტექნიკითა და მობილური გადასატანი ტუმბოაგრეგატით მომსახურების გაწევა, რაც ქვეყნის მასშტაბით 20 სერვისცენტრის მეშვეობით ხორციელდება.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ მელიორირებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ფონდის გაზრდის მიზნით, ყოველწლიურად ატარებს ათწლეულების განმავლობაში მწყობრიდან გამოსული სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მასშტაბურ სარეაბილიტაციო სამუშაოებს. უკანასკნელ შვიდ წელიწადში წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი ქვეყანაში 45 ათასი ჰექტარიდან 127 500 ჰექტარამდე, ხოლო დრენირებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 14 ათასი ჰექტარიდან 39 500 ჰექტარამდეა გაზრდილი.

კომპანიის სერვისები:

- ირიგაცია (მიწების ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემა);
- დრენაჟი (დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობა (დაწრეტა), თხრილების, არხების ან მიწისქვეშა სისტემის საშუალებებით);
- ტბორი (ტბორისთვის/თევზსაშენისთვის წყლის მიწოდება);
- ჰესებისთვის წყლის მიწოდება;
- საწარმოსთვის წყლის მიწოდება.
- სპეცტექნიკით მომსახურების გაწევა.
- მობილური გადასატანი ტუმბოაგრეგატით მომსახურების გაწევა.

ტარიფები:

- აღმოსავლეთ საქართველო ირიგაცია - 75 ლარი (დღგ-ის ჩათვლით) 1 ჰა-ზე;
- დასავლეთ საქართველო ირიგაცია - 45 ლარი (დღგ-ის ჩათვლით) 1 ჰა-ზე;
- აღმოსავლეთ/დასავლეთ საქართველო დრენაჟი - 40 ლარი (დღგ-ის ჩათვლით) 1 ჰა-ზე;
- ტბორი (ტბორისთვის/თევზსაშენისთვის წყლის მიწოდება) - 150 ლარი (დღგ-ის ჩათვლით) 1ჰა-ზე (სარკისებრი ზედაპირი).
- ჰესებისთვის წყლის მიწოდება - ხელშეკრულების პირობებით.
- საწარმოსთვის წყლის მიწოდება - ხელშეკრულების პირობებით.
- სპეცტექნიკით მომსახურების გაწევა - ხელშეკრულების პირობებით.
- მობილური გადასატანი ტუმბოაგრეგატით მომსახურების გაწევა - ხელშეკრულების პირობებით.

მოცემული ტარიფები ერთჯერადია და მოქმედებს განაცხადით/ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით.

საქართველოს მეღიორაციის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია და სიახლეები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.ag.ge

ღვინის ეროვნული სააგენტო

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიმართულებას ქართული ღვინის პოპულარიზაცია, ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა და ქართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის ხელშეწყობა წარმოადგენს.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, სააგენტო ღვინისა და სხვა ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელ კომპანიებს უწევს სხვადასხვა სახის მომსახურებას:

- ღვინოზე, ყურძნისეული წარმოშობის სპირტიან სასმელსა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტზე გასცემს შესაბამისობის სერტიფიკატს;
- ევროკავშირის ქვეყნებში საექსპორტოდ განკუთვნილ ყურძნის ტკბილსა და ყურძნის წვენზე გასცემს VI 1 სერტიფიკატს;
- ითანხმებს მეწარმის მიერ დამტკიცებული ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის წარმოების ტექნოლოგიურ ინსტრუქციას;
- ამზადებს და გასცემს დასკვნას ღვინოსა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტიან სასმელზე ახალი ადგილწარმოშობის დასახელებისა და ახალი გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციისათვის საჭირო მონაცემთა შესწავლა-დადგენაზე;
- ახორციელებს ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელის ორგანოლეპტიკურ შემოწმებას;
- მოთხოვნის შემთხვევაში გასცემს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს (სასაქონლო ნიშნის) ლოგოს გამოყენების სარგებლობის უფლებას.

აღნიშნული მომსახურების ნაწილი ფასიანია, ხოლო ნაწილი მომსახურებისა - უფასო. შესაბამისობის სერტიფიკატის გაცემის ვადა და საფასური განისაზღვრება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების ვადისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

სააგენტოს საქმიანობის და სიახლეების შესახებ ინფორმაციის მისაღებად შებრძანდით ვებგვერდზე: www.georgianwine.gov.ge

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას (გარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის პირობების შესრულების კონტროლისა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.

დეპარტამენტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- გარემოს დაბინძურების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების კონტროლი;
- კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მიერ გარემოს დაცვის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლის განხორციელება.

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, დეპარტამენტი სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს შემდეგი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით: სამართალდარღვევების თავიდან აცილების (პრევენციული

და ხელშემწყობი) ღონისძიებების გატარება, მოთხოვნათა შესრულების მონიტორინგი, რეგულირების ობიექტების ინსპექტირება, გამოვლენილ დარღვევებსა და ცხელ ხაზზე - 153 შემოსულ შეტყობინებებზე დროული და პროპორციული რეაგირება.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების შესაბამისად, დეპარტამენტი, საქმიანობას წარმართავს 2 ძირითადი მიმართულებით.

- უწყვეტი (24-საათიანი) გარემოსდაცვითი პატრულირება და სწრაფი რეაგირება;
- გარემოსდაცვითი ინსპექტირება.

გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების ქვედანაყოფები, სწრაფი რეაგირების ეკიპაჟების მეშვეობით, ახორციელებენ 24-საათიან პატრულირებას ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების, გარემოს ნარჩენებით დაბინძურების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით.

გარემოსდაცვითი ინსპექტირება ხორციელდება გარემოს ინტეგრირებული კონტროლისა და ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურების, რეგიონული სამმართველოების გარემოსდაცვითი ინსპექტირების განყოფილებების, შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს ინსპექტორების მეშვეობით და ძირითადად ფოკუსირებულია:

რეგულირების ობიექტების - ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების (გარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისა), გარემოზე ზემოქმედების შეფასების სფეროში გაცემული ნებართვების/გადაწყვეტილებების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული ობიექტების, MARPOL 73-78 კონვენციის შესაბამისად საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების ინსპექტირებაზე. დეპარტამენტი ახორციელებს გეგმიურ და არაგეგმიურ შემოწმებებს, შემოწმებათა გეგმა გარემოსდაცვით რისკებზე დაფუძნებული მეთოლოგიის საფუძველზე დგება.

მიზანი

- ატმოსფერული ჰაერის, წყლის, მიწის, წიაღისა და ბიომრავალ-ფეროვნების დაცვა;
- საქართველოს ტყის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, ქიმიური უსაფრთხოების, ნარჩენების მართვის სახელმწიფო კონტროლის განხორციელება (გარდა ბირთვული და რადიაციული ნარჩენებისა);
- ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენების სფეროში სახელმწიფო კონტროლი;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიების (გარდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის), ნებართვების, გარემოსდაცვითი გადაწყვეტი-ლებებისა და მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების კონტროლი.
- CITES დანართებში შეტანილი სახეობით, მისი ნაწილით ან დერივატით უკანონო ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის და ზღვიდან ინტროდუქციის კონტროლი;
- საავტომობილო საწვავის ხარისხობრივი ნორმთან შესაბა-მისობის კონტროლი
- უკანონო ნადირობის ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- უკანონო თევზჭერის ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

დეპარტამენტის ძირითადი ამოცანები:

- სახელმწიფო კონტროლის განხორციელება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში; ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- გარემოს დაბინძურების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- საქართველოს მიერ გარემოს დაცვის სფეროში ნაკისრი

საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების კონტროლის განხორციელება მისი კომპეტენციის ფარგლებში;

- კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგის წარმოება, მათ შორის, რეგულირების ობიექტის მონაცემთა ბაზის შექმნა, რეგულირების ობიექტების მიერ წარმოდგენილი ლიცენზიების, ნებართვებისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შესრულების ანგარიშგების ანალიზი;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის დაგეგმვა და კოორდინაცია;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის მეთოდური და სახელმძღვანელო დოკუმენტების მომზადება;
- საზოგადოების ინფორმირება დეპარტამენტის საქმიანობის თაობაზე.

დეპარტამენტის შესახებ დეტალური ინფორმაცია და სიახლეები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.des.gov.ge.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის სერვისები:

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა, გარემოსდაცვით და აგრარულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სამინისტროს ერთიანი ინფორმაციული ტექნოლოგიური პოლიტიკის დანერგვა.

გარემოსდაცვითი ინფორმაცისა და განათლების ცენტრი საზოგადოებას სთავაზობს შემდეგ სერვისებს:

მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურე ტექნიკოსების სერტიფიცირება

2018 წლის 1 იანვრიდან მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სერტიფიცირებულ ტექნიკოსს.

სერტიფიცირების ვალდებულება 2019 წლის 1 იანვრიდან ვრცელდება იმ ტექნიკოსებზე, რომლებიც ემსახურებიან 3 კგ-ზე ნაკლებ მაცივარაგენტზე მომუშავე ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო მოწყობილობებს ან/და ტუმბოებს.

სერტიფიცირების ჩატარებასა და შესაბამისი სერტიფიკატის/მოწმობის გაცემას უზრუნველყოფს საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.
გამოცდაზე გასვლის მსურველებმა თან უნდა იქონიონ:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/პასპორტი
- ფოტოსურათი 3/4-ზე (CD დისკზე)
- სასერტიფიკატო გამოცდის საფასურის (50 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი
- სასერტიფიკატო გამოცდაზე რეგისტრაცია ხორციელდება გამოცდის დაწყებამდე, გამოცდის ჩატარების ადგილზე.
- აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში პირი გამოცდაზე არ დაიშვება

სასწავლო კურსი „გარემოსდაცვითი მმართველი"

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ატარებს გარემოსდაცვითი მმართველის სასწავლო კურსს. კურსის მიზანია კანონით დაკისრებული მოთხოვნებისა და თანამედროვე სამყაროს სტანდარტების გათვალისწინებით კომპანიებისთვის შესაბამისი კადრის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. კადრებს, რომლებიც შეძლებენ ნარჩენების მართვის გეგმის მომზადებასა და განახლებას, ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელების ორგანიზებას, ნარჩენების მართვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე თვითმონიტორინგისა და შიდა კონტროლის განხორციელებას.

სწავლის ხანგრძლივობა: ლექციები ტარდება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 9:30-14:30 საათზე.
პროგრამის მოცულობა: 27 საათი
სწავლების ენა: ქართული
კურსის ღირებულება: 560.50 ლარი

საჯარო განხილვები

გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათ-ლების ცენტრი ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების საჯარო განხილვებს დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

საჯარო დისკუსიები

ცენტრი მართავს დისკუსიებს სხვადასხვა გარემოსდაცვით აქტუალურ თემებზე, სადაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მათთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ დასვან კითხვები და მიიღონ ამომწურავი პასუხები დარგის სპეციალისტებისგან.

პროექტი „მოხალისე ლექტორი“

დაწყებითი საფეხურის საგნებში გარემოსდაცვითი საკითხების სწავლების ხელშეწყობის მიზნით ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახორციელებს პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეებისა და მასწავლებლების ჩართულობის გაზრდას და მათთვის მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ სანდო და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას. სკოლის მასწავლებლებს და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა თავად აარჩიონ მათთვის ყველაზე საინტერესო თემები. არჩეულ თემაზე ჩაუტარდეთ ლექციები, რომელიც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხების გასამრავალფეროვნებლად და მოსწავლეთა დამატებით აქტივობებში ჩასართავად გამოადგებათ.

ტრენინგები

აგრარული და გარემოსდაცვითი მიმართულებით უწყვეტი განათლების ხელშეწყობის მიზნით სამინისტროს თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლებისათვის, ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და მოსახლეობის სხვა დაინტერესებული ჯგუფებისათვის ქვეყნის მასშტაბით ცენტრი მართავს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს.

ცენტრის საქმიანობის და სიახლეების შესახებ ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ ეწვიოთ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდს: www.eiec.gov.ge

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო მოსახლეობის რადიაციის შესაძლო მავნე ზეგავლენისგან დაცვას უზრუნველყოფს. დამტკიცებულია არაერთი ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ქვეყანაში რადიაციული უსაფრთხოების მიმართულებით ახალ საერთაშორისო სტანდარტებს ადგენს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამედიცინო სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნათა დაცვა. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო აღჭურვილია სპეციალური ხელსაწყოებით, რომლის მეშვეობითაც სამედიცინო დაწესებულებებში რენტგენის აპარატების ხარისხის მონიტორინგი ხორციელდება.

ნებისმიერი ტიპის ბირთვული და რადიაციული საქმიანობა ექვემდებარება ლიცენზირებას. ლიცენზიის მისაღებად ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს აქვთ საშუალება ონლაინ რეჟიმში ისარგებლონ სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს“ ელექტრონული სერვისებით, რითაც იზოგება დრო და ფინანსური რესურსი.

სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“ მოქალაქეების დაინტერესების შემთხვევაში უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალებების, უძრავი ქონების და სხვადასხვა პროდუქციის რადიოლოგიურ შემოწმებას.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო, საპატრულო პოლიციასთან და სხვა კომპეტენტურ უწყებებთან ერთად, ჩართულია საზღვარზე ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვის კონტროლში.

რადიაციული საფრთხის აღმნიშვნელი ნიშნის მქონე ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდით სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს“ (ტელ: (032) 2 50 00 47).

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს შესახებ დეტალური ინფორმაცია და სიახლეები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე: www.anrs.gov.ge

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი
ცხელი ხაზი 1501